

5. მიზნობრივი ჯგუფი

ნაშრომი, მისი ფუნქციური დატვირთულობიდან – მონოგრაფიული, საცნობარო და სახელმძღვანელო ხასიათიდან – გამომდინარე, შეიძლება გამოყენებული იქნეს მკითხველის მიერ როგორც ენის თეორიულ ასპექტებზე მეცნიერული მუშაობისას, ისე გრამატიკული ცოდნის პრაქტიკულად სრულყოფის მიზნით.

შესაბამისად ფართოა მომხმარებელთა წრეც: უშუალო მიზნობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალური, ანუ გერმანისტიკის განხრის, და არასპეციალური (როგორც ჰუმანიტარული, ისე სოციალური, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და ა.შ.) განხრის სტუდენტები სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე; ასევე ზოგად- და კერძოენათმეცნიერული პროფილით მომუშავე ლინგვისტები, სხვადასხვა პროფილის თარჯიმან-მთარგმნელები – საზოგადოდ მოზრდილი ასაკის არადამწყები შემსწავლელები, ენის თეორიულ პლანში აღწერით ან მისი პრაქტიკულად შესწავლით დაინტერესებული ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სრულყოფილი სასკოლო განათლება. დამწყებთა მიერ წიგნი შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ ფრაგმენტულად, დიდი ოპუსების გამოტოვების ხარჯზე მასალის შერჩევითი შესწავლის პრინციპის დაცვის შემთხვევაში ([მითითებები წიგნით სარგებლობის შესახებ](#)).